



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N16

ქ. მარნეული

12.09.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: -

ნაბი აბდულაევი, ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, აბიდ
 ოსმანოვი, ქამილ ალიევი, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი,
 რამიზ გულმამედოვი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური,
 გივი ქველაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: ვალერი მეტრეველი, კოტე ბოჭოიძე, ვალი ისმაილოვი.

სხდომას ესწრებოდა:

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის
 შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, მარნეულის
 მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული
 განყოფილების უფროსი ბესო ნიჟარაძე, მარნეულის
 მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო
 ბერიძე, შ.პ.ს. „ტირ-პარკი“-ს წარმომადგენლები: ელგუჯა
 ჩინჩალაძე, დავით შუბითიძე, ვალერი გელბახიანი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 აგვისტოს N03/10476 წერილის განხილვის შესახებ.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის 29 აგვისტოს N84 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 სექტემბრის N03/10559 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 აგვისტოს N03/9774 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 25 აპრილის N1863-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 13 ივლისის N3141-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
7. შ.პ.ს „ტირ-პარკი მარნეული 2014“-ის წარმომადგენლის ვალერიან გელბახიანის განცხადების (რეგ. N261/05. 18.08.2017 წ) განხილვის შესახებ.

8. ქალაქ მარნეულში, ნარიმანოვის ქუჩა N3-ში მცხოვრები მოქალაქე რასიმ ორუჯოვის განცხადების (რეგ. N267/05. 29.08.2017 წ) განხილვის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 7 აგვისტოს N3480-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 აგვისტოს N3686-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 21 აგვისტოს N3666-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 აგვისტოს N3686-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კოტე ბოჭოიძე იმყოფება კუთვნილ შვებულებაში, ამ კომისიის საკითხების შესწავლა და საკრებულოს სხდომაზე გამოტანა დაევალა მას.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 31 აგვისტოს N03/10476 წერილი რომლის მიხედვით დასამტკიცებლად წარმოდგენილია საპრივატიზაციო ნუსხა 5 ავტომანქანის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის 29 აგვისტოს N84 წერილი, რომლის მიხედვით ა.ა.ი.პ. სპორტული სკოლა ითხოვს ფინანსურ წახალისებას სპორტული სკოლის აღსაზრდელების ბექა წიფიანის და ლუკა კაპანაძისათვის, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 სექტემბრის N03/10559 წერილი, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ითხოვს არსებული ლიმიტის ფარგლებში მოხდეს საწვავის ახალი

ლიმიტის დამტკიცება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 აგვისტოს N03/9774 წერილით შემოსული დოკუმენტაცია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა რუსთაველის ქუჩა N89 –ს კორექტირებული წითელი ხაზების დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 25 აპრილის N1863-03 მოხსენებითი ბარათი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქუჩა N41“–ს წითელი ხაზების დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 13 ივლისის N3141-03 მოხსენებითი ბარათი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე II ქუჩა N6“–ს კორექტირებული წითელი ხაზების დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო შ.პ.ს „ტირ-პარკი მარნეული 2014“-ის წარმომადგენლის ვალერიან გელბახიანის განცხადება. შ.პ.ს. ტირ-პარკი, რომელიც ფლობს 30 ათას კვ.მ. არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ქუთლიარში ითხოვს 10 ათასი კვ.მ. ფართის სანაცვლოდ მის მიერ იჯარით აღებული 7693 კვ.მ. ფართობის საკუთრებაში გადაცემას, ვინაიდან 10 ათასი კვ.მ. ქვემოთ განთავსებულია გაზსადენი მილები. მანვე აღნიშნა, რომ საკითხი არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და სასურველია მოხდეს გამგეობის და საკრებულოს მიერ მისი ერთობლივი შესწავლა და მისი შემდგომი განხილვა. საკრებულოს თავმჯდომარემ ნაბი აბდულაევმა აღნიშნა, რომ მხარი უნდა დაეჭიროს შ.პ.ს. „ტირ-პარკი მარნეული 2014“-ის, რადგან ის ავითარებს ბიზნესს და არის გადასახადების კარგი გადამხდელი. შ.პ.ს. „ტირ-პარკი მარნეული 2014“-ის წარმომადგენელმა ვალერიან გელბახიანმა განმარტება გააკეთა იმის შესახებ, რომ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გადის ორი გაზსადენი, რის გამოც შეუძლებელია მასზე რაიმე სახის მშენებლობის განხორციელება. ეკონომიკის სამინისტროსა და გაზის კორპორაციის კონსულტაციების საფუძველზე, მიზანშეწონილია თუ ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობა მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ საკითხი დადებითად გადაწყდება, საწარმო აპირებს კაპიტალდაბანდების განხორციელებას და შესაბამისად ბიუჯეტში გადასახადების შემოტანას. მან მადლობა გადაუხადა ადგილობრივ თვითმმართველობას გამოხატული პოზიციისა და მხარდაჭერისათვის. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული

განყოფილების უფროსმა ბესო ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული იქნეს როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე მოსახლეობის ინტერესები, რის გამოც აუცილებელია მოხდეს საკითხის დამატებითი შესწავლა და შემდგომ გადაწყვეტილების მიღება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან და მისი განხილვა მოხდეს შაკითხის შესწავლის შემდეგ.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში, ნარიმანოვის ქუჩა N3-ში მცხოვრები მოქალაქე რასიმ ორუჯოვის განცხადება, რომელიც ითხოვს 3 წლის შვილისათვის ოპერაციის დაფინანსებას 1480 ლარით და იმის გამო, რომ ოჯახს არ აქვს სოციალური ქულები, ვერ ჯდება პროგრამაში. ოჯახს არ აქვს საშუალება დააფინანსოს შვილის ოპერაცია, რისთვისაც ითხოვენ დახმარებას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის 2017 წლის 7 აგვისტოს N3480-03 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ დამტკიცდეს აუქციონის წესით გასაცემი ბილბორდების სია და მიეცეს თანხმობა აღმასრულებელ ორგანოს მოახდინოს მისი განკარგვა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 აგვისტოს N3686-03 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ თანხმობას, რათა სოფელ ბეგლიარში არსებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2003 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, იჯარით გადაეცეს ა.ა.ი.პ. „ახალგაზრდა არქეოლოგთა კავშირი“-ს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 21 აგვისტოს N3666-03 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ თანხმობას, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მიცუბში პაჯერო 1.8. IO“ სახელმწიფო ნომერი CVC-041 დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ თხოვების ფორმით გადაეცეს შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 აგვისტოს N3686-03 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ თანხმობას, რათა ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N84 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი

განკარგვის წესით გადაეცეს მოქალაქე აფარ ალიევს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემრულებელმა ზაურ ტაბატაძემ ითხოვა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს დაემატოს 2 საკითხი: მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 11 სექტემბრის N03/10759 წერილის განხილვის შესახებ, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებას და ამის საფუძველზე შ.პ.ს. „მარნეულის ავტოპარკი“-სათვის 100 000 ლარის სუბსიდიის გამოყოფას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეთექვსმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი